

საქართველოს უცხოება

№38
908



საქართველოს
საპატირიარქოს
პრესცენტრის
ყოველკვირეული
გამოცემა

20-26 დეკემბერი 2018 წ. გამოიცემა 1999 წლის 8 იანვრიდან
ვასი 70 თეთრი

კათოლიკოს-პატრიარქიანი ილია II-ს ვულფუნგვთ დღსაყდრების 41 წლისთავს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის
ერთაშორის შპვილობრივა და მეგობრობრის გალომავერაში
შეტანილი ნულილისთვის სპეციალური ტილოო გაფაერ

- ✖ ამონარიდები ეადაგარებიდან
- ✖ ეროვნია. ინფორმაცია.
- ✖ ათი კათოლიკოსის განცურება
- ✖ „გულისხმა-ჰუმიზით, რაი-იგი
არს ნებაი ღმრთისაი“
- ✖ „აღმოსავლეთი და
დასავლეთი - კულტურათა
დიალეგი“

- ✖ ამარიკალი ვილოსოფის
ლაპცია-სამინარები
ასალი საქართველოს
უნივერსიტეტში
- ✖ ნიდა მონახა მაფა
ვასტაცი მასახა
- ✖ მღვდელი მაკსიმა ჭუმპაჩა
1854-1935

ამერიკელი ფილოსოფოსის ლექცია-სემინარები

ახალი საქართველოს უნივერსიტეტში

შეიძლება ითქვას, რომ ფილოსოფიური ტრადიციის, მსოფლმხედველობის, სააზროვნო სისტემების საფუძველს ანტიკური სააზროვნო ტრადიცია წარმოადგენს. ის განაზრებანი, რომლებიც ანტიკური ხანის მოაზროვნეთა მიერ ყალიბდებოდა, ხშირ შემთხვევაში, უნივერსალურ ხასიათს იღებდა და შემდგომ პერიოდებში დიდი ინტერპრეტაციის, კომენტირების და სახეცვლილი გადმოცემის საფუძველი ხდებოდა. ცხადია, პირველ რიგში, ამგვარ განაზრებათა რიცხვს პლატონი უნდა მივაკუთვნოთ, რომლის ფილოსოფიასაც მოგვიანებით მრავალი მეტაფიზიკური, ეთიკური თუ პოლიტიკური სააზროვნო მოდელი დაეფუძნა.

პლატონის (ძვ. წ. 427-347 წწ.) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტექსტი მისი დიალოგი „სახელმწიფო“ (Πολιτεία), რომელშიც სააზროვნო ცხოვრების, ადამიანური სოციუმის ის ფორმაა აღნერილი, რომელიც ყოფიერების უმაღლეს პრინციპებს ეფუძნება. სწორედ ამ საკაცობრიო ღირებულების ტექსტის განხილვას ეძღვნებოდა 2018 წლის 10 დეკემბერს ახალი საქართველოს უნივერსიტეტში ჩატარებული სემინარი, რომელსაც ამერიკელი ფილოსოფოსი - ლანსელოტ ფლეტჩერი - უძღვებოდა, რომელსაც დიალოგთან „სახელმწიფო“ მრავალნიშნიანი მუშაობის გამოცდილება აქვს. სემინარზე ე. წ. „ნელი კითხვის მეთოდის“ მეშვეობით დამუშავდა ტექსტის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც ფილოსოფიით დაინტერესებული მკითხველისთვის ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო. ამას-თანავე, სემინარის ფარგლებში განხილულ იქ-

ნა დიალოგის მნიშვნელობა, გავლენები ძველ და თანამედროვე სააზროვნო სივრცეზე. სემინარს, რომელსაც ახალი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტები და სასულიერო პირები ესწრებოდნენ, თან ახლდა ნაყოფიერი დისკუსია.

2018 წლის 11 დეკემბერს ლანსელოტ ფლეტჩერმა ახალი საქართველოს უნივერსიტეტში კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეხვედრას უხელმძღვანელა - ახალი დროის დიდი ებრაელი მოაზროვნის, ბარუხ (ბენ-ედიქტუს) და სპინოზას (1632-1677 წწ.) შესახებ სემინარს. სპინოზა ის მოაზროვნეა, რომელმაც დიდ წილად ხელი შეუწყო ახალი დროის ევროპაში ღირებულებათა, ძირითად მიმართულებათა ცვლილებას. მიუხედავად იმისა, რომ ის ტრადიციულ რელიგიურ სააზროვნო სივრცეებში მიუღებელი მოაზროვნე იყო, მომხსენებლის აზრით, მისი ფილოსოფიის საფუძვლიანი, ღრმა ანალიზი ადამიანს გზას უკვალავს ქრისტიანობისკენ. სემინარის ფარგლებში განიხილეს მისი შემოქმედების მთავარი პრინციპები, გავლენები, საგანვებო ყურადღება მიექცა მის მოძღვრებას პირველი მიზეზის შესახებ. სემინარზე - კითხვაპასუხის ფორმატით - აუდიტორიას საშუალება მიეცა სპინოზას ფილოსოფიის შესახებ მრავალმხრივი და კვალიფიციური ინფორმაციები მიეღო.

ნიკოლოზ კოპალეიშვილი
ქრისტიანული ფილოსოფიის მაგისტრი,
ახალი საქართველოს უნივერსიტეტის
კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
ხამეცნიერო-კვლევითი არქივის
ასისტენტი-მკვლევარი